დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 20 ნოემბრის N10 სხდომაზე

დანართი 6

აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, რომელიც სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელიც შესაბამისი ფაკულტეტთან შეთანხმებით სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობას ახორციელებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ამის გამო ვერ ახორციელებს სასწავლო პროცესს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მისი არყოფნის პერიოდისათვის შესაძლებელია შეუნარჩუნდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების არაუმეტეს 40%–სა.
2. ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების არაუმეტეს 40%–ს შენარჩუნების საკითხსა და ოდენობას დეკანის წარდგინებით განიხილავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
3. ამ წესის მიხედვით სახელფასო სარგო შენარჩუნებული პირები ვალდებულნი არიან საქართველოში დაბრუნების შემდგომ ფაკულტეტს წარუდგინონ ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ იმ ფარგლებში რა ფარგლებშიც მოხდა უნივერსიტეტის მხრიდან ხელფასის ანაზღაურება.